ანალიტიკური წერა

დრო - 1 სთ. 10 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – თემა მოცემულ საკითხზე

დრო – 35 წთ.

გამოთქვით თქვენი აზრი, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს. ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ფილმებიდან, პირადი გამოცდილებიდან და ა. შ.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში ახალი ელემენტების შეტანა და მათი გათანამედროვება საზიანოა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისათვის.

შავი სამუშაოსთვის

დავალება II – მსჯელობის ანალიზი

დრო – 35 წთ.

მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული მონაცემების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა და დასახულია გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრის გზა.

გააანალიზეთ, რამდენად დამაჯერებელი და საკმარისია ეს მონაცემები წარმოდგენილი დასკვნის გამოსატანად; გამოავლინეთ მსჯელობის ხარვეზები. განსაზღვრეთ, რა დამატებითი ინფორმაცია დაგჭირდებოდათ იმისათვის, რომ უკეთ შეგეფასებინათ დასკვნა; რამდენად ადეკვატური და დამაჯერებელია პრობლემის გადასაჭრელად შემოთავაზებული გზა.

ნაწერი არ უნდა იყოს 80 სიტყვაზე ნაკლები.

N ქალაქის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მშობლიური ენის მასწავლებელმა მე-6 კლასის მოსწავლეებს საზაფხულო არდადეგებზე დაავალა მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების რამდენიმე ნათარგმნი ნიმუშის შერჩევა და წაკითხვა. აღმოჩნდა, რომ ეს დავალება მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეასრულა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკის ბავშვებისათვის ნათარგმნი ლიტერატურის კითხვა სირთულეს წარმოადგენს.

უმჯობესია, ამ ასაკის მოსწავლეებმა იკითხონ მშობლიურ ენაზე შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებები, ხოლო ნათარგმნი ლიტერატურის კითხვა მომდევნო კლასებიდან დაიწყონ.

შავი სამუშაოსთვის